

დანტეს პარადიგმა ისტორიული ემიგრაციის დისკურსში

რუსუდან ნიშნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: დანტე, კ. გამსახურდია, ისტორიული ემიგრაცია, დეისპიხედი, ქუჩუკ-ნაიბი

მსოფლიო კლასიკა. არიან ავტორები, რომელთა თაობაზეც უნდა იცოდე, არის წიგნები, რომლებიც ერთხელ მაინც უნდა წაიკითხო. დანტე ალიგიერიც ამ „აუცილებლობის“ სივრცეში მოიაზრება.

ერთი მოგონება ბევრისთვისაა ცნობილი. მისი ავტორი კონსტანტინე გამსახურდიაა, გერმანიაში ყოფნის დღეებს აღიდგენს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველ ნაბიჯებს დგამს. აკაკი ჩხენკელის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს; ამ ორი ადამიანის ურთიერთობა ფორმალური ეტიკეტით არ ამოწურულა. იმ მოულოდნელ შეთავაზებასაც ხაზგასმით იტყვის, როცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთი წლით მივლინება და ორი ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა იტალიაში წასასვლელად და დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმნის ხელშესაწყობად. რაკი გამსახურდიამ იტალიური ენა იცოდა, ჩხენკელი თვლიდა, რომ ყოველ კულტურულ ერს თავის თაროზე ეს წიგნი უნდა ჰქონოდა.

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა საბედისწეროდ შეწყვიტა. ქვეყნის პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ნაწილი უცხოეთში გაიფანტა. ქართული ისტორიული ემიგრაცია არაერთ პრობლემას ეხმიანებოდა, განიხილავდა სოციალურ თუ ეკონომიურ საკითხებს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. ამ არეალში რა ადგილი შეიძლება ეჭიროს დანტეს, ან კიდევ ზემოხსენებულ კონტექსტში

რა დატვირთვას უნდა გულისხმობდეს ის. თემათა სხვადასხვაობა მრავალფეროვან სურათს ქმნის. ემიგრაციაში განსხვავებული მოსაზრებების ადამიანები არიან (თუნდაც ისინი ერთი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ). განსხვავებულია, ვთქვათ ასეც, შეფასებითი, ფსიქოლოგიური თუ გეოგრაფიული მანძილი.

როგორც ვთქვი, დანტეს „მოხმობა“ თუ „დამოწმება“ სხვადასხვა კონტექსტში ხდება. არცთუ იშვიათად, ის მხოლოდ მოხსენიებულია მსოფლიო კლასიკოსთა ჩამონათვალში; მაგალითები: რევაზ გაბაშვილი „პარიზის საზოგადოებაში“ ნაიკითხავს მოხსენებას „რუსთაველი და ზოგი აღმოსავლურ-დასავლური პარალელები“. მცირე რეპორტაჟს გაზ. „თეთრი გიორგის“ #87 ფურცლებზე ნაიკითხავს საფრანგეთში ქართველი მკითხველი 1935 წელს.

როცა მიხეილ წერეთელი წერილს გამოაქვეყნებს „ცოტა რამ ვეფხის-ტყაოსნისა“, პომეას „მსოფლიო-ხედვის“ წიგნს დაარქმევს და პარალელურად, შექსპირის, დანტეს, ვაგნერის ნაწარმოებებს დაასახელებს. არა მხოლოდ რუსთაველისადმი დაწერილ წერილში, არამედ იმაშიც „მგოსანი -აკაკი წერეთელი“ როცა გერმანელ კოლეგას გამოეპასუხება და გარკვეული კონტექსტი დაჭირდება, ჩამოთვლის: დანტე და შექსპირი, ბაირონი და სერვანტესი, ვიკტორ ჰიუგო და ტოლსტოი, ფირდოუსი და რუსთაველი.

დიდი მეცნიერი, რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე, პარიზში საგანგებო გამოცვლევას დაწერს „დანტე - რუსთაველი“.

პარიზში გამოიცემა ლადო ბელიაშვილის ორი მცირეფორმიანი წიგნიც: „რუსთველის და დანტეს იდუმალი“ სიტყვა პირველი, 1956წ. და „რუსთველის და დანტეს იდუმალი“ სიტყვა მეორე, 1957წ.

ამჯერად, ემიგრაციაში გამართულ ერთ დისკურსზე ვისაუბრებ. იდეალი და მოცემული რეალობა - აი, ის გზაჯვარედინი, როცა მათი მოსაზრებები გადაიკვეთება. საინტერესოა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე საუბრისას თანამედროვეობასთან დაკავშირებით დანტეს პარადიგმა.

ლეისპირელის „წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა“ გაგრძელებებით იბეჭდებოდა საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში გამოშვალ გაზეთში „ბრძოლის ხმა“. ის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო გახლდათ. თუმცა პერიოდულობის დაცვა ხშირად ვერ ხერხდებოდა. 1938-1940 წლებში იგი გადაკეთდა ჟურნალად. წერილი, რომლის თაობაზეც ვისაუბრებთ, დაიბეჭდა გაზეთის ფურცლებზე - 1937 წლის #68, #70, #71. როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორს ის „პოლიტიკა“ აინტერესებს, რომლის დაკანონებასაც არსებული ხელისუფლება ცდილობს. აქვე აღვნიშნავ, რომ ავტორს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს საქართველოში დაწერილ ნაწარმოებებთან და დანტესაც მოიხსენიებს. ნეგატიურია შთაბეჭდილება, რომელსაც ის არაერთი მხატვრული ტექსტის და ავტორის მიმართ გამოხატავს.

ჟურნალი „სოციალისტური აზრი“ (გამოდიოდა პარიზში 1934-1939 წლებში და იყო ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანო) დაბეჭდავს ქუჩუკ-ნაიბის საპასუხო წერილს. ის საინტერესო იმითაცაა, რომ ეპიგრაფად დანტეს სიტყვები უძღვის და თავად წერილიც დანტეს სტრიქონებით მთავრდება. ქუჩუკ-ნაიბის „წერილი მეგობარს“ დაიბეჭდა ჟურნალის #8 ნომერში 1937 წელს. ზემოთ ერთპარტიულობა ვახსენეთ. გავიმეორებ, პარტიულად შესაძლოა, ერთ მსოფლმხედველობას იზიარებენ, მაგრამ ფასეულობებთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარად აზროვნებენ. ქუჩუკ-ნაიბი (*ოჩივე შემთხვევაში, ჩასაკვიჩვიდია, ფსევდონიმებთან გვაქვს საქმე, ხომლებიც ამ ეჭაპზე დადგენილი ახაა*) არცერთ ავტორს კონკრეტულად არ ეხება, მაგრამ ობიექტურად ხსნის იმ რეალობას, რომ სხვა ლიტერატურული ტექსტების გამოქვეყნების შესაძლებლობის ქონისთვის ამ დათმობებზე მიდიოდნენ და „ხარკსაც“ იხდიდნენ. იოლია თქვა, ეს „ხარკი“ კონკრეტულად მათ შემოქმედებას აზარალებსო. ასე რომ არა, იქნებოდა ერთი დიდი სიცარიელე, რომლის შესახებ საუბარიც კი გაუგებრობას გამოიწვევდა.

ისტორიულ ემიგრაციაში დაწყებული დისკურსი, ალბათ, თავის გაგრძელებას იპოვიდა, მაგრამ პრესის ფურცლებს ის აღარ შემოუნახავს.

ლიტერატურა:

- გაბაშვილი, რ. (1935). რუსთაველი და ზოგი აღმოსავლურ-დასავლური პარალელები, 2. პარიზი. „თეთრი გიორგი“, 87.
- გამსახურდია, კ. (1991). 1917-1924 ლანდებთან ლაციცი, 8. თბილისი. „ლიტერატურული საქართველო“, 29.
- ლუისპირელი. (1937). წერილები ლიტერატურაზე. სამხატვრო პოლიტიკა, 3-4, 2-4, 3-4. პარიზი. „ბრძოლის ხმა“, 68, 70, 71.
- ქუჩუკ-ნაიბი, (1937). წერილი მეგობარს, 10-15. პარიზი. „სოციალისტური აზრი“, 8.
- წერეთელი, მ. (1935). მგოსანი - აკაკი წერეთელი, 3. პარიზი. „დამოუკიდებელი საქართველო“, 109.
- წერეთელი, მ. (1938). ცოტა რამ ვეფხის-ტყაოსნისა, 4. პარიზი. „თეთრი გიორგი“, 102.

DANTE'S PARADIGM IN THE DISCOURSE OF HISTORICAL EMIGRATION

Rusudan Nishnianidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: *Dante, K. Gamsakhurdia, historical emigration, Leispireli, Kuchuk-Naib*

World Classics. There are authors you should know about, there are books you should read at least once. Dante Alighieri is also considered in this space of "necessity".

One memory is known to the public. Its author is Konstantine Gamsakhurdia, restoring the days of his stay in Germany; The Democratic Republic of Georgia is taking the first steps. He has a different attitude towards Akaki Chkhenkeli; the relationship between these two people does not end with a formal etiquette. The sudden offer will also be highlighted when the Foreign Minister offers him a one-year business trip and two thousand pounds sterling to go to Italy and facilitate the translation of Dante's "Divine Comedy". As Gamsakhurdia knew Italian, Chkhenkeli believed that every cultural nation should have this book on the shelf.

Georgia's first democratic republic fatally ceased to exist. The political or intellectual part of the country was scattered abroad. Georgian historical emigration responded to a number of problems, discussing social or economic issues in Georgia and abroad. What place can Dante occupy in this area, or even in the above context what load should he imply. The variety of themes creates a diverse picture. There are people of different views in emigration (even if they were representatives of one party). Psychological and geographical distances are evaluative.

As I said, Dante's "recitation" or "testimony" takes place in different contexts. Often, it is only mentioned in the list of world classics. Examples: Revaz Gabashvili will read the report "Rustaveli and Some East-West Parallels" in "Paris Society". A small report on page # 87 of the newspaper "Tetri Giorgi" (White George) will be read by the Georgian readers residing in France in 1935.

When Mikheil Tsereteli publishes a letter "A Little about Vepkhistkaosani", he names the poem "World-Vision" and, at the same time, he the works of Shakespeare, Dante and Wagner. Not only in the letter to Rustaveli, but also in the "Poet - Akaki Tsereteli" when he responds to his German counterpart and needs some context, he lists: Dante and Shakespeare, Byron and Cervantes, Victor Hugo and Tolstoy, Firdaus and Rustaveli.

The great scientist, Rustvelologist, Viktor Nozadze will write an extraordinary study in Paris, "Dante - Rustaveli".

Two short books by Lado Beliashvili are also published in Paris: "The Mystery of Rustaveli and Dante", the first word, 1956, and the second word, "The Mystery of Rustaveli and Dante", 1957.

This time, I will talk about one discourse held in emigration. Ideal and the given reality - this is the crossroads where their opinions intersect. Speaking of twentieth-century Georgian literature, Dante's paradigm in relation to modernity is interesting.

Leispirelli's "Letters on Literature" and "Art Politics" were published in sequels in the French newspaper "Voice of Struggle" published in Paris. It was the monthly organ of the Foreign Bureau of the Georgian Social-Democratic Workers' Party. However, maintaining periodicity was often not possible. In 1938-1940 it was transformed into a magazine. The letter we are talking about was published in the newspaper - # 68, # 70, # 71 of 1937. As the title suggests, the author is interested in the "politics" that the current government is trying to legitimize. I also note that the author has a sharply negative attitude towards the works written in Georgia and he also mentions Dante. His impression regarding a number of literary texts and authors is negative. The magazine "Socialist Thought" (which was published in Paris in 1934-1939 and was a Georgian social-democratic magazine) will

publish a response letter from Kuchuk-Naib. It is also interesting that the epigraph is preceded by Dante's words, and the letter itself ends with Dante's lines. Kuchuk-Naib's "A Letter to a Friend" was published in issue # 8 of the magazine in 1937. We mentioned a one-party rule above. I will repeat, as a party they may share one worldview, but they think differently about values. Kuchuk-Naib (in both cases, of course, we are dealing with pseudonyms) does not refer to any of the authors specifically, but objectively explains the reality which urged them to make these concessions and pay "tribute" for the possibility of publishing other literary texts. It is easy to say that this "tribute" specifically harms their creativity. Without it there would be one big gap and even talking about it would be incomprehensible.

The discourse that began in the historical emigration should have had its continuation, but it is no longer preserved in the press.

References:

- Gabashvili, R. (1935), Rustaveli da zogi aghmosavlur-dasavluri paralelebi, [Rustaveli and some East-West parallels], 2, Paris. "White George", 87.
- Gamsakhurdia, K. (1991), 1917-1924 Landebtan Iacici [Flattering with Ghosts], 8 Tbilisi. "Literary Georgia", 29.
- Leispirelli. (1937), Tserilebi literaturaze. Samkhatvro politika [Letters on Literature. Art Politics, 3-4, 2-4, 3-4. Paris. "The Voice of Struggle", 68, 70, 71.
- Kuchuk-Naib, (1937), Tserili Megobars, [A Letter to a Friend], 10-15. Paris. "Socialist Thought", 8.
- Tsereteli, M. (1935), Mgosani - Akaki Tsereteli, [Poet - Akaki Tsereteli], 3. Paris. "Independent Georgia", 109.
- Tsereteli, M. (1938), Tsota ram Vepkhis-Tkhaosnisa [A Little about Vepkhistaosani], 4. Paris. "White George", 102.